



შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესი (შემდგომში - წესი) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად, განსაზღვრავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტურ სივრცეში პლაგიატის პრევენციისა და პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმებს, ასევე პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, მასზე რეაგირების პროცედურებს.
2. უნივერსიტეტი იცავს ინტელექტუალური საკუთრების პრინციპებს და წინამდებარე წესით დადგენილი მექანიზმებით უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტურ სივრცეში სხვისი შრომის შედეგის ნებისმიერი ფორმით მითვისების შემთხვევების გამოვლენას.
3. წინამდებარე დოკუმენტის მოთხოვნებისა და ნორმების შესრულება სავალდებულოა უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის. ამ დოკუმენტის მიზნებისთვის, სტუდენტი არის პირი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა და სწავლობს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის გასაველად.
4. უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია, პატივი სცეს სხვის ინტელექტუალურ საკუთრებას, დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმები, გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის რეპუტაციას და არ დაუშვას პლაგიატის არცერთი ფორმის გამოვლენა.
5. უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალისა და დოქტორანტების მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებზე რეაგირების წესი, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები განისაზღვრება „შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსით“.

მუხლი 2. პლაგიატის ცნება და სახეები

1. წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისათვის, პლაგიატი გულისხმობს სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის (ან გამოუქვეყნებელი ნაშრომის ან მისი ნაწილის, რომელზეც მტკიცდება ავტორობა, მათ შორის, გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი /მათ შორის დაცვის

მიზნით მომზადებული, წარმოდგენილი ნაშრომი/ თეორიების, ცნებების, მონაცემთა წყარო მასალების, სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიების ან დასკვნების, გრაფიკების, გამოსახულებების და სხვა), როგორც საკუთარის წარმოდგენასა და გამოყენებას, ავტორის შესაბამისი მითითებისა და, საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე.

2. პლაგიატის სახეები:

ა. პირდაპირი პლაგიატი - პლაგიატის აღნიშნული სახე გულისხმობს სხვისი ნამუშევრის, იდეის, ფორმულის, გრაფიკის, დიაგრამის და ა.შ. მითვისებას შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე;

ბ. თვითპლაგიატი - თვითპლაგიატი გულისხმობს, როცა პირი საკუთარ ძველ ნამუშევარს წარმოაჩენს, როგორც ახალს (წყაროს მითითების გარეშე);

გ. მოზაიკური პლაგიატი - პლაგიატის სახე, როდესაც პირი იყენებს რამდენიმე ავტორის ფრაზას წყაროს მითითების გარეშე და ახდენს მათ კომპილაციას. მოზაიკური პლაგიატის დროს, ნაშრომის ბოლოს მითითებულია ავტორი, მაგრამ ტექსტის კითხვისას შეუძლებელია გარჩევა, სად სრულდება ნაწერის ავტორის ორიგინალური მოსაზრება და სად არის ჩასმული ციტატები;

დ. პარაფრაზირებული პლაგიატი - პლაგიატის სახე, როდესაც პირი ავტორის მიერ შექმნილ ნამუშევარში გამოყენებულ სიტყვებს ცვლის სინონიმებით, ისე რომ ტექსტის ძირითადი სტრუქტურა და შინაარსი არ იცვლება;

ე. პლაგიატი დაუდევრობით - პლაგიატის აღნიშნული სახე გულისხმობს არასწორ ციტირებას დაუდევრობის გამო. ავტორების ან წყაროების მითითებისას მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამორჩენა ან არევა.

3. საყოველთაოდ ცნობილი „ზოგადი ცოდნის“ გამოყენება-გავრცელება არ არის პლაგიატი და არ საჭიროებს წყაროს მითითებას.

მუხლი 3. პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით განსახორციელებელი აქტივობები - პლაგიატის პრევენცია

1. უნივერსიტეტი ვალდებულია, განუვითაროს სტუდენტს აკადემიური კეთილსინდისიერების გრძობა. სტუდენტურ სივრცეში პლაგიატის პრევენციის მიზნით, უნივერსიტეტი:

ა. საბაკალავრო, სამაგისტრო, მასწავლებლის მომზადების, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამებში ნერგავს სავალდებულო სასწავლო კურსებს, რომლებიც მოიცავს აკადემიური წერის კულტურისა და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებს;

ბ. სტუდენტთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებზე მართავს საინფორმაციო შეხვედრებს და აცნობს მათ პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებსა და მექანიზმებს;

გ. იყენებს Turnitin-ის (ტურნიტინი) ელექტრონულ პროგრამას;

დ. ოფიციალურ ვებ-გვერდზე განათავსებს ინფორმაციას პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესის შესახებ;

ვ. აწყობს საჯარო შეხვედრებს სტუდენტებთან, პლაგიატის დამდგენი ელექტრონული პროგრამის მეშვეობით შესრულებული ნაშრომის დამოუკიდებლად შემოწმების შესაძლებლობის შესახებ.

2. აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის ცნობადობის ამაღლების მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პლაგიატისა და გაყალბების ფაქტების შესახებ სტუდენტთა ცნობადობის ამაღლებას, სისტემატურად ატარებს პრევენციის საინფორმაციო ღონისძიებებს, ავითარებს პლაგიატის აღმოჩენისა და იდენტიფიცირების მექანიზმებს, სრულყოფს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის წინააღმდეგ რეაგირების პროცედურებს.

3. საუნივერსიტეტო სივრცეში პლაგიატის პრევენციის მიზნით, სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ფარგლებში შემუშავებული ყველა წერიტი დავალება (კვლევითი პროექტი, ანალიტიკური რეფერატი, კვლევითი პროექტი, კვლევითი სტატია და სხვა), საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი, ასევე უნივერსიტეტის სტუდენტურ/სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო გამოცემებში გამოსაქვეყნებელი მასალა ექვემდებარება სავალდებულო შემოწმებას პლაგიატის დამდგენი ელექტრონული პროგრამით.

მუხლი 4. სტუდენტის ვალდებულებები

1. უნივერსიტეტის სივრცეში სტუდენტი ვალდებულია:
 - ა. სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესში იხელმძღვანელოს წინამდებარე წესით;
 - ბ. არ გამოიყენოს პლაგიატის არც ერთი სახე და/ან არ წახალოსოს პლაგიატი როგორც წინასწარი განზრახვით, ისე უნებლიედ, პირდაპირი თუ ირიბი გზით;
 - გ. დაიცვას უნივერსიტეტის მიერ აღიარებული და დამტკიცებული აკადემიური წერის სტილი (ბიბლიოგრაფიული მონაცემების გაფორმება, ციტირების სტილი და ა.შ.);
 - დ. პატივი სცეს სხვის ნაშრომებსა და საავტორო უფლებებს;
 - ე. საკუთარ ნაშრომში სხვა ავტორების ნაშრომების (მათ შორის საკუთარი ავტორობით შესრულებულის) გამოყენებისას სწორად მიუთითოს გამოყენებული წყაროები;
 - ვ. საკუთარ ნაშრომში გამოიყენოს მხოლოდ არაფალსიფიცირებული, გაუყალბებელი, შემოწმებული ინფორმაცია;
 - ზ. მოიპოვოს ინფორმაცია მხოლოდ ლეგალური გზით;
 - თ. პატივი სცეს საკუთარი ნაშრომის თანავტორ(ებ)ის წვლილსა და საავტორო უფლებებს;
 - ი. თავი შეიკავოს სტუდენტისათვის შეუფერებელი საქმიანობისგან და საქციელისგან.
2. უნივერსიტეტის სივრცეში დაუშვებელია სტუდენტის მიერ:
 - ა. სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის, კერძოდ, სხვა ავტორ(ებ)ის მიერ შესრულებული ნაშრომის (ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან აუდიო მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემების, სხვა სახის ინტელექტუალური საკუთრების) მითვისება და საკუთარ ნაშრომად წარდგენა;
 - ბ. სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის, კერძოდ, სხვა ავტორ(ებ)ის მიერ შესრულებული ნაშრომის (ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან აუდიო მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემების, სხვა სახის ინტელექტუალური საკუთრების) სათანადო ციტირების ან მითითების გარეშე გამოყენება ან საკუთარ ნაშრომში ასახვა;
 - გ. ნებისმიერი წყაროდან (წიგნი, სამეცნიერო ან პუბლიცისტური სტატია, ჟურნალი, გაზეთი, ინტერნეტი, სალექციო კონსპექტი და სხვა) იდეის, კვლევის შედეგის, ტექსტის, დიაგრამის, ცხრილის სათანადო ციტირების გარეშე გადმოკოპირება ან მცირედი ცვლილებით გადმოტანა;
 - დ. ორიგინალური წყაროს მითითების გარეშე, საკუთარი ნაშრომის უცვლელად ან სახეცვლილად განმეორებით გამოყენება ან სათანადო ციტირების გარეშე, ადრე შესრულებული სამუშაოს ახალ ნაშრომში გამოყენება;
 - ე. სხვადასხვა პირებისგან მიღებული ინფორმაციის (იდეის, ტექსტის, დასკვნების და ა.შ.) წყაროს მითითების გარეშე გამოყენება;
 - ვ. მონაცემების, ინფორმაციის ან ციტატების გაყალბება, გაყალბებული ფაქტების ან/და წყაროების გამოყენება ან/და მითითება, ასევე კვლევის შედეგების გაყალბება ან ფალსიფიცირება;
 - ზ. კვლევაში მონაწილე სხვა პირების წვლილის უგულვებელყოფა, გაუთვალისწინებლობა;

თ. ფალსიფიცირებული, გაყალბებული, გადაუმოწმებელი მონაცემების, გამოკითხვების, ინტერვიუების გამოყენებით კვლევის განხორციელება.

3. პლაგიატის ან აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტი ვალდებულია, სტუდენტის მიმართ გაატაროს წინამდებარე წესით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, ამავე წესით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 5. პლაგიატის აღმოჩენის ძირითადი მექანიზმები

1. უნივერსიტეტის სტუდენტურ სივრცეში პლაგიატის აღმოჩენის ძირითადი მექანიზმებია: ლექტორის, ნაშრომის ხელმძღვანელის, რევენუენტის დასკვნა და პლაგიატის დამდგენი ელექტრონული პროგრამა.
2. პლაგიატის დამდგენი ელექტრონული პროგრამა არის პროგრამა, რომელიც ადარებს ტექსტებს მსგავსების გამოვლენის მიზნით და ითვლის მოცემულ ნაშრომში არაორიგინალი ტექსტის პროცენტულ მაჩვენებელს.
3. პლაგიატის გამოვლენის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს Turnitin-ის (ტურნიტინი) ელექტრონულ პროგრამას, რომლის მეშვეობითაც ხდება ნაშრომის ტექსტის შედარება პროგრამაში განთავსებულ სხვა ნაშრომებთან.
4. შემოწმების შედეგად პროგრამულ ანგარიშში აისახება შესამოწმებელი ნაშრომის სხვა მასალებთან მსგავსება. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებთანაც შესამოწმებელი დოკუმენტი ამჟღავნებს მსგავსებას.

თავი II. უნივერსიტეტის სტუდენტურ სივრცეში პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმი და პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში მასზე რეაგირების წესი

მუხლი 6. სასწავლო კომპონენტის ფარგლებში პლაგიატის აღმოჩენის წესი

1. სასწავლო კომპონენტის ფარგლებში, სასწავლო კურსის წამყვანი აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია, სტუდენტის შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული წერითი დავალება (კვლევითი პროექტი, ანალიტიკური რეფერატი, კვლევითი პროექტი, კვლევითი სტატია და სხვა), რომელიც წყაროთა სავალდებულო მითითებას საჭიროებს, შეამოწმოს პლაგიატის ელექტრონული პროგრამით.
2. სტუდენტის წერით დავალებაში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია, პლაგიატის აღმოჩენიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, დისციპლინური წარმოების დაწყების მიზნით, განცხადებით მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციას. განცხადებას თან უნდა ერთოდეს მსგავსების აღმოჩენი ელექტრონული პროგრამის ანგარიში და შესაბამისი აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის დასკვნა.

მუხლი 7. კონფერენციებში ან/და სამეცნიერო გამოცემებში გამოსაქვეყნებელ მასალაში პლაგიატის აღმოჩენის წესი

1. სტუდენტურ/სამეცნიერო კონფერენციებში ან/და უნივერსიტეტის სამეცნიერო გამოცემებში გამოსაქვეყნებელი მასალის გადამოწმებას მსგავსების აღმოჩენი ელექტრონული პროგრამით უზრუნველყოფს შესაბამისი აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი,

2. სტუდენტურ/სამეცნიერო კონფერენციებში ან/და უნივერსიტეტის სამეცნიერო გამოცემებში გამოსაქვეყნებელ მასალაში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაბამისი აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, პლაგიატის აღმოჩენიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, დისციპლინური წარმოების დაწყების მიზნით, განცხადებით მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციას. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამის ანგარიში და შესაბამისი აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის დასკვნა.
3. პლაგიატის ფაქტის არსებობისას, სტუდენტს ეკრძალება სტუდენტურ/სამეცნიერო კონფერენციაზე იმ მასალის წარდგენა ან უნივერსიტეტის სამეცნიერო გამოცემებში/უნივერსიტეტის სახელით იმ მასალის გამოქვეყნება, რომელშიც გამოვლინდა პლაგიატის ფაქტი.

მუხლი 8. საბაკალავრო პროექტში/ნაშრომში პლაგიატის აღმოჩენის წესი

1. შუალედური შეფასების მიზნით, სტუდენტი დასრულებულ საბაკალავრო ნაშრომს წარუდგენს ხელმძღვანელს/რეცენზენტს, რომელიც წარდგენილ ნაშრომს ამოწმებს მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამით. მსგავსების აღმომჩენ ელექტრონულ პროგრამაში მასალის გადამოწმებას უზრუნველყოფს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაცია.
2. ფაკულტეტი უზრუნველყოფს, ხელმძღვანელთან/რეცენზენტთან ნაშრომის წარდგენამდე, სტუდენტმა უშუალოდ გადაამოწმოს ნაშრომი უნივერსიტეტში არსებული მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამით. ამასთან, სტუდენტის მიერ წარდგენილ საბაკალავრო ნაშრომში შემდგომში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია.
3. მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამის მიერ საბაკალავრო ნაშრომში ტექსტური თანხვედრის დაფიქსირების შემთხვევაში, სტუდენტის ხელმძღვანელი/რეცენზენტი ახდენს შემოწმებას და ამზადებს ანგარიშს ნაშრომში პლაგიატის არსებობის ან არარსებობის შესახებ.
4. ნაშრომში პლაგიატის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტის ხელმძღვანელი/რეცენზენტი, ვალდებულია, პლაგიატის აღმოჩენიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, დისციპლინური წარმოების დაწყების მიზნით, განცხადებით მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციას. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამის ანგარიში და ხელმძღვანელის დასკვნა.

მუხლი 9. დისციპლინური კომისია

1. სტუდენტის სასწავლო ან/და კვლევით პროდუქტში (წერიტი და ვალები, სტუდენტურ/სამეცნიერო კონფერენციაზე წარსადგენი მასალა, უნივერსიტეტის სამეცნიერო გამოცემებში გამოსაქვეყნებელი მასალა, საბაკალავრო ნაშრომი) პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საკითხს განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ შექმნილი დისციპლინური კომისია.
2. დისციპლინური კომისია (შემდგომში - კომისია) უნდა შედგებოდეს შესაბამისი დარგის/მიმართულების ფაკულტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალის არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 წევრისაგან. კომისიის შემადგენლობა უნდა გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს.
3. კომისია ვალდებულია, მიუკერძოებლად შეისწავლოს საკითხი და გამოიტანოს ობიექტური დასკვნა.

4. სტუდენტს წერილობითი ფორმით ეგზავნება შეტყობინება დისციპლინურ კომისიაზე მისი საკითხის განხილვის თარიღის შესახებ.
5. სტუდენტს უფლება აქვს:
 - ა. დაესწროს საკითხის განხილვას და ისარგებლოს სიტყვის უფლებით;
 - ბ. მიაწოდოს კომისიას თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები საკუთარი პოზიციის დასაცავად.
6. კომისია, მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამის ანგარიშისა და შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, დამსწრე წევრთა უმრავლესობით, იღებს გადაწყვეტილებას პლაგიატის არსებობის/არარსებობის შესახებ.
7. სტუდენტის სასწავლო ან/და კვლევით პროდუქტში პლაგიატის არსებობის შემთხვევაში, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, კომისია იღებს გადაწყვეტილებას სასწავლო ან/და კვლევითი პროდუქტის გაუქმებისა და სტუდენტის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ.
8. კომისიის გადაწყვეტილება წერილობითი სახით ეცნობება ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და სტუდენტს.
9. დისციპლინარული კომისიის გადაწყვეტილებას, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, გასაჩივრების ვადის ამოწურვიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

მუხლი 10. დისციპლინური კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია)

1. თუ სტუდენტი არ ეთანხმება დისციპლინური კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს, გადაწყვეტილების მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში წერილობით მიმართოს ფაკულტეტის დეკანს და გასაჩივროს დისციპლინური კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.
2. საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული გასაჩივრების საგანი და გასაჩივრების არგუმენტები.
3. ფაკულტეტის დეკანი სტუდენტის საჩივარს, საჩივრის მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად.
4. ფაკულტეტის საბჭოს მიერ საჩივრის განხილვისას სტუდენტს უფლება აქვს, დაესწროს სხდომას და წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები.
5. საჩივრის განხილვის შედეგების მიხედვით, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს უფლება აქვს, მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
 - ა. დისციპლინური კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;
 - ბ. სტუდენტის მიმართ წინამდებარე აქტით გათვალისწინებული სხვა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ.
6. შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, ფაკულტეტის დეკანი წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და სტუდენტს, რომლის მიმართაც მიმდინარეობდა დისციპლინური წარმოება.

მუხლი 11. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება

1. სტუდენტის სასწავლო ან/და კვლევით პროდუქტში პლაგიატის არსებობის შემთხვევაში, დისციპლინური კომისიის, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი, შესაბამისი

- გადაწყვეტილების მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ.
2. დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნივერსიტეტის რექტორმა უნდა დაიცვას სამართლიანობის, ობიექტურობის, შეფარდებულ ზომასა და ჩადენილ გადაცდომას შორის პროპორციულობისა და თანაბარზომიერების პრინციპები.
 3. უნივერსიტეტის რექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და იგი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 12. დისციპლინური სანქცია

1. დისციპლინური სანქცია არის პასუხისმგებლობის ზომა, რომელსაც უნივერსიტეტის რექტორი იყენებს სტუდენტის მიმართ წარდგენილ სასწავლო ან/და კვლევით პროდუქტში პლაგიატის არსებობის შემთხვევაში.
2. წარდგენილ სასწავლო ან/და კვლევით პროდუქტში პლაგიატის არსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის რექტორის მიერ, დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილების, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სტუდენტის მიმართ შეიძლება, გატარდეს შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები:
 - ა. გაფრთხილება;
 - ბ. სასწავლო ან/და კვლევით პროდუქტის განმეორებით შესრულება;
 - გ. სასწავლო ან/და კვლევით პროდუქტის დაბრუნება მისი გადამუშავების მიზნით;
 - დ. იმავე სასწავლო ან/და კვლევით პროდუქტის წარდგენის უფლების შეზღუდვა;
 - ე. შესაბამისი სასწავლო კომპონენტისათვის გათვალისწინებული ქულის განულება;
 - ვ. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ერთი სემესტრით;
 - ზ. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია, განმეორებით შესრულებული სასწავლო ან/და კვლევით პროდუქტი წარუდგინოს უნივერსიტეტის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს/უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია, გადამუშავებული სასწავლო ან/და კვლევით პროდუქტი წარუდგინოს უნივერსიტეტის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს/უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს მომდევნო სასწავლო სემესტრის განმავლობაში.
5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია, სხვა თემაზე შესრულებული სასწავლო ან/და კვლევით პროდუქტი წარუდგინოს უნივერსიტეტის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს/უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს მომდევნო სასწავლო სემესტრის განმავლობაში.

თავი IV. სამაგისტრო პროექტში/ნაშრომში პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმი და პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში მასზე რეაგირების წესი

მუხლი 13. სამაგისტრო პროექტში/ნაშრომში პლაგიატის აღმოჩენის წესი

1. შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციაში მაგისტრანტის მიერ დასრულებული სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის (შემდგომში - ნაშრომი) წარდგენის

შემდეგ, ფაკულტეტი ამოწმებს წარდგენილ ნაშრომს მსგავსების აღმოჩენი ელექტრონული პროგრამით და გადამოწმების შედეგებს ნაშრომთან ერთად გადასცემს მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს.

2. ფაკულტეტი უზრუნველყოფს მაგისტრანტს, შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციაში ნაშრომის წარდგენამდე, უშუალოდ გადამოწმოს ნაშრომი უნივერსიტეტში არსებული მსგავსების აღმოჩენი ელექტრონული პროგრამით. ამასთან მაგისტრანტის მიერ წარდგენილ ნაშრომში შემდგომში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია.
3. მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი აფასებს სამაგისტრო ნაშრომს და სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე ფაკულტეტის ადმინისტრაციას წარუდგენს დასაბუთებულ წერილობითი დასკვნას.
4. მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნის საფუძველზე, ფაკულტეტის დეკანი ნიშნავს აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების კომისიას და პლაგიატის საკითხის განხილვის თარიღს.

მუხლი 14. აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების კომისია

1. აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების კომისია (შემდგომში - კომისია) შედგება შესაბამისი დარგის/მიმართულების ფაკულტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალის არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 წევრისაგან. კომისიის შემადგენლობა უნდა გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს.
2. მაგისტრანტს წერილობითი ფორმით ეგზავნება შეტყობინება პლაგიატის საკითხის განხილვის თარიღის შესახებ.
3. მაგისტრანტს უფლება აქვს:
 - ა. დაესწროს საკითხის განხილვას და ისარგებლოს სიტყვის უფლებით;
 - ბ. მიაწოდოს კომისიას თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები საკუთარი პოზიციის დასაცავად.
4. კომისია, დამსწრე წევრთა უმრავლესობით, იღებს გადაწყვეტილებას, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს პლაგიატის არსებობის ან არარსებობის ფაქტი.
5. წარდგენილ ნაშრომში პლაგიატის არსებობის შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილების დასკვნით ნაწილში უნდა აღინიშნოს კომისიის რეკომენდაცია მაგისტრანტის მიმართ კონკრეტული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ.
6. კომისიის გადაწყვეტილება წერილობითი სახით ეცნობება ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და მაგისტრანტს.
7. წარდგენილ ნაშრომში პლაგიატის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, გასაჩივრების ვადის ამოწურვიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, კომისიის გადაწყვეტილებას წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

მუხლი 15. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია)

7. თუ მაგისტრანტი არ ეთანხმება კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს, გადაწყვეტილების მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში წერილობით მიმართოს ფაკულტეტის დეკანს და გაასაჩივროს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.
8. საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული გასაჩივრების საგანი და გასაჩივრების არგუმენტები. მაგისტრანტს უფლება აქვს, საჩივარს თან დაურთოს

შესაბამისი დარგის დოქტორის (შიდა ან გარე პროფესორი) მიერ გაცემული დასკვნა წარდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ.

9. ფაკულტეტის დეკანი მაგისტრანტის საჩივარს, საჩივრის მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად.
10. ფაკულტეტის საბჭოს მიერ საჩივრის განხილვისას მაგისტრანტს უფლება აქვს, დაესწროს სხდომას და წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები.
11. საჩივრის განხილვის შედეგების მიხედვით შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს უფლება აქვს, მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
 - ა. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;
 - ბ. მაგისტრანტის მიმართ წინამდებარე აქტით გათვალისწინებული სხვა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ.
12. შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, ფაკულტეტის დეკანი წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და მაგისტრანტს, რომლის მიმართაც მიმდინარეობდა დისციპლინური წარმოება.

მუხლი 16. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება

4. წარდგენილ ნაშრომში პლაგიატის არსებობის შემთხვევაში, აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების კომისიის, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ.
5. დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნივერსიტეტის რექტორმა უნდა დაიცვას სამართლიანობის, ობიექტურობის, შეფარდებულ ზომასა და ჩადენილ გადაცდომას შორის პროპორციულობისა და თანაბარზომიერების პრინციპები.
6. უნივერსიტეტის რექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და იგი შეიძლება, გასაჩივრდეს სასამართლოში, კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 17. დისციპლინური სანქცია

1. დისციპლინური სანქცია არის პასუხისმგებლობის ზომა, რომელსაც უნივერსიტეტის რექტორი იყენებს მაგისტრანტის მიმართ წარდგენილ ნაშრომში პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში.
2. წარდგენილ ნაშრომში პლაგიატის არსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის რექტორის მიერ, აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების კომისიის გადაწყვეტილების, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მაგისტრანტის მიმართ შეიძლება, გატარდეს შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები:
 - ა. გაფრთხილება;
 - ბ. ნაშრომის დაბრუნება მისი გადამუშავების მიზნით;
 - გ. იმავე ნაშრომის წარდგენის უფლების ჩამორთმევა;
 - დ. სტუდენტის სტატუსის ერთი სემესტრით შეჩერება;
 - ე. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების შემთხვევაში, მაგისტრანტი ვალდებულია, გადაამუშავებული ნაშრომი უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტს წარუდგინოს მომდევნო სასწავლო სემესტრის განმავლობაში.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების შემთხვევაში, მაგისტრანტი ვალდებულია, სხვა თემაზე შესრულებული ნაშრომი უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტს წარუდგინოს მომდევნო სასწავლო სემესტრის განმავლობაში.

თავი V. დასკვნითი დებულებები

მუხლი 18. წინამდებარე წესის ამოქმედება, მაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წინამდებარე წესი ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.
2. წინამდებარე წესის ამოქმედების მომენტიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს „შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სამეცნიერო ნაშრომებში პლაგიატის გამოვლენის და მასზე რეაგირების წესი“.
3. პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წინამდებარე წესს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.
4. პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წინამდებარე წესში ცვლილებისა და დამატების შეტანა, ისევე როგორც მისი გაუქმება, წარმოებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.